სტატიების მიღება შრომის სამართლის კრებულის IV წიგნისათვის

1. შინაარსობრივი მოთხოვნები

სტატიაში განხილული უნდა იყოს შრომის სამართლის აქტუალური საკითხები. თემატიკა მოიცავს იმ პრობლემებს, რომლებიც პირდაპირ, თუ არაპირდაპირ უკავშირდება საქართველოში მოქმედ შესაბამის სისტემას, თუმცა, არ გამოირიცხება ისეთი ნაშრომებიც, რომლებიც ეხება ქვედარგის პრობლემატურ საკითხებს, რომლებმაც შეიძლება ზეგავლენა იქონიოს ადგილობრივი კანონმდებლობის განვითარებასა, თუ სასამართლო პრაქტიკაზე. სტატიის თემა შეიძლება, ასევე, ეხებოდეს კერძო სამართლის ზოგად თეორიულ საკითხებს, რომლებსაც პირდაპირი, თუ არაპირდაპირი კავშირი აქვს შრომის სამართალთან.

სასურველია, სტატია არ ეხებოდეს წინა სამ კრებულში განხილულ საკითხებს. გამონაკლისია ის შემთხვევა, როდესაც იგივე საკითხი სხვა ასპექტშია განხილული, ან შინაარსობრივად ხდება მისი შევსება, ან პრობლემის განსხვავებული გადაწყვეტის მექანიზმების შემოთავაზება ხდება.

საავტორო ჰონორარი, ამ ეტაპზე, გათვალისწინებული არ არის.

სტატიების საბოლოო ვარიანტი წარმოდგენილი უნდა იყოს არაუგვიანეს 2015 წლის ივლისამდე.

2. ტექნიკური მოთხოვნები

სტატია უნდა იყოს მკაფიოდ სტრუქტურირებული (შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნა).

სტატია უნდა იყოს დაბეჭდილი შრიფტით Sylfaen (ქართ.) და Sylfaen (ლათ.). სტატიის ძირითადი ტექსტის შრიფტის ზომა - 12. სქოლიოების ტექსტის შრიფტის ზომა - 10.

სტატიის საორიენტაციო მოცულობა 10-დან 25/30 გვერდამდე.

სქოლიოები უნდა იყოს განთავსებული თითოეული გვერდის ბოლოს. ციტირების წესის (იხ. წინა კრებულები) დაუცველობის შემთხვევაში სტატია ვერ გამოქვეყნდება.

რედაქტორები იტოვებენ უფლებას, უარი განუცხადონ ავტორს კრებულში სტატიის გამოქვეყნებაზე, თუ არ დაკმაყოფილდა სტატიისათვის დადგენილი ტექნიკური და შინაარსობრივი მოთხოვნები.

საკონტაქტო პირი – *გიორგი ამირანაშვილი*
ტელ.: 577 943040
E-mail: giorgi.amiranashvili@yahoo.com